სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 14 (4518) • 11 ნოემბერი • 2015 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

ნომრის სტუმარია თბილისის 108-ე საჯარო სკოლა

როცა დირექტორი გამოცდილია

შუამთის ქუჩაზე მდებარე მხრეგბაშლილი სკოლა ამ დიდი უბნის მშვენებაა. ათასზე მეტი მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს 50-ზე მეტი გამოცდილი პედაგოგი ემსახურება. დირექტორიც არანაკლებ გამოცდილია. თბილისის 36-ე საჯარო სკოლისა და მაშინდელი პუშკინის პედინსტიტუტის აღზრდილი მასწავლებელი **მაია მღვდელაზე** 30 წელზე მეტია შემოქმედებითად, მთელი გზნებით ასწავლის მოზარდებს რუსთველის ენა-ლიტერატურას. მისი პედაგოგიური წრთობა ძირითადად სახელოვან 88-ე (ვანო გიორგაძის) სკოლას უკავშირდება. 6 წელიწადი ამ სკოლას ნაყოფიერად უძღვებოდა. 108-ე სკოლაში კი რამდენიმე წელია მოღვაწეობს და უკვე დაატყო განათლების ამ კერას თავისი ხელწერა. ასე

რომ, გამოცდილება ყოველთვის ამბობს თავის სიტყვას.

დირექტორს ძლიერი პედაგოგები უმშვენებენ მხარს. 17 სერთიფიცირებული მასწავლებელი დიდი ძალაა. მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებაში დიდი წვლილი შეაქვთ გამოცდილ პედაგოგებს, დირექტორის მოადგილეს **ნინო არობელიძეს** და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს **ლალი გამეზარდაშვილს.**

სასკოლო ცხოვრებას ახალისებს და ხიბლს მატებს მოსწავლეთა თვითმმართველობა X კლასელ **შალვა სესიტაშვილის** წინამძღოლობით.

სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაში მთავარი და გადამწყვეტი მაინც საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობაა. კათედრებს ნიჭიერი პედაგოგები ხელმძღვანელობენ: დაწყებითებისას – **ეკა ბითაძე,** ქართული ენა ლიტერატურისას – **ევგენია საიდოიანი,** მათემატიკისას – **ლალი სურმავა,** უცხოური ენებისას – **მანანა ზივზივაძე,** საბუნებისმეტყველოს – **ასმათ ვასაძე,** საზმცოდნეობისას – **თეა დოლიძე,** ესთეტიკისას – **მაკა შუღლიაშვილი.**

შარშანდელი 34 კურსდამთავრებულიდან 32 სტუდენტია. **თენგიზ ფიჩხულაშვილმა** 100%-იანი გრანტი დაიმსახურა.

ბიბლიის მიხედვით „ხე ნაყოფითა საცნაურ არს“. ბუნებრივია, ძლიერ პედაგოგებს ძლიერი მოსწავლეები ჰყავთ ხოლმე. ერთი ბრძენკაცი გვასწავლიდა, მოსწავლის სიმამაცე ფრიადზე სწავლაო. ასეთი სწავლის გმირები კი სკოლას ბევრი ჰყავს. აი, მაგალითი: ახლახან წარჩინებული სწავლით სკოლა ასახელეს მეათეკლასელებმა: **მარიამ გაფრინდაშვილმა** და **მარიამ ალადოშვილმა**, რომლებიც განათლების სამინისტრომ და დედაქალაქის მერიამ კომპიუტერებით დააჯილდოვა.

მოსწავლეები მასობრივად არიან ჩართულნი სხვადასხვა რანგის სასწავლო-შემოქმედებით კონკურსებში, ოლიმპიადებში. ბევრმა ისახელა თავი და ასახელა სკოლა, თავიანთი მასწავლებლები. შარშან პირველად ჩატარებულ სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში თავი გამოიჩინა **მარიამ ალადოშვილმა**, იგი საქართველოს საუკეთესოთა ოცეულში მოხვდა.

XI კლასელი **ინესა არუთინიანი** უცხო ენაში ოლიმპიადის II ტურში გადავიდა (მასწავლებელი **ნინო არობელიძე**) და დაჯილდოვდა საზაფხულო ბანაკის საგზურით.

სკოლაში ჩამოყალიბებულია მუსიკალური ბენდი **„რამე“**, რომლის წევრები: **დავით სულხანიშვილი, გიორგი ბენიძე, სოფიო დევიძე** და **ანი შათირიშვილი** (XI კლასელები), სხვადასხვა ღონისძიებებში წარმატებით გამოვიდნენ, დაჯილდოვდნენ

საგზურებით. სულ ახლახან გამართულ „სამგორობაშიც“ თავი ისახელეს.

სკოლაში ნორჩი მხატვრებიც ფრთიანდებიან, მიმდინარეობს კონკურსი იაკობ გოგებაშვილის დაბადების 175 წლის საიუბილეოდ. ჩვენ მოგვხიბლა „იაკობის“ თემაზე შექმნილმა ნორჩ შემოქმედთა ნახატებმა: საკონკურსოდ უზადოდ შესრულებული „იაკობის პორტრეტი“ წარმოადგინა VII კლასელმა **ლანა ლაბახუამ**. **ანი ქარჩაიძემ** (VIII) დაგვიხატა სურათი თემაზე „ვგალობ და ვგალობ“. **მაია ბოლოთაშვილმა** (VIII[ბ]) წარმოადგინა „იავნანამ რა ჰქმნა?“ **მანანა ეუაშვილის** ნახელავია (VIII) „ქეთოს მოტაცება“. მოგვეწონა **ანა შველიძის** (XII) ნახატი „ქეთოს დედამაგდანი“. ეს საკონკურსო ნახატები გადაიგზავნა განათლების სამინისტროში და „ველოდებით ნაყოფსა მისგან ტკბილსა“. ვუსურვებთ ყველას წარმატებას!

სხვა კუთხითაც ბევრი აქვს სკოლას თავმოსაწონებელი. აი, თუნდაც პერსპექტიული სპორტსმენები **ბაკურ ჯაფარიძე** და **დავით სულხანიშვილი** (XI[ა] კლასი) – ჩინებული კალათბურთელები არიან. **გიორგი ყუშიტაშვილი** (VII) კარგი კარატისტია, **თორნიკე გაგრანი** (XI) ჭიდაობაში ტოლს არავის უდებს, ფეხბურთელი **ანრი ჭუჭულაშვილის** (XI[ბ]) ყველას ეიმედება. კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება.

სკოლის დირექცია, ყველა მოსწავლე და პედაგოგი კმაყოფილი არიან მანდატურების: **რევაზ გოგებაშვილის**, **ლილი კობახიძისა** და **ლია მგალობლიშვილის** კარგი მუშაობით. მათი ძალისხმევით სკოლის უსაფრთხოება დაცულია და დისციპლინა – განმტკიცებული.

მასწავლებელთა კვალიფიციური ღვაწლი სასწავლო წლის ბოლოს სასიხარულო ნაყოფს უთუოდ გამოიღებს – მიზანი მიღწეული იქნება.

ბორის ხარებავა

იაკობ გოგებაშვილი – 175

„დედაენიდან“ ამოკრეფილი მარგალიტები

მამა და შვილები

ერთ ადგილას ჩვეულება ჰქონდათ: კაცი რომ დაბერდებოდა, გოდორში ჩასვამდნენ და კლდეზედ გადააგდებდნენ. ერთი ბრმა ბერიკაცის შვილებმა მოინდომეს მამისთვის გოდრის დაწვნა. ბერიკაცს ესმოდა იმათი ლაპარაკი და ჰკითხა: რას აკეთებთო? შვილებმა უთხრეს: არაფერსო, გოდორსა ვწნავთო. ვიცი, ვისთვისაც გინდათო, მაგრამ ისეთიც კი დასწანით, რომ თქვენს შვილებსაც გამოადგესო. შვილები ჩაფიქრდნენ, გონზე მოვიდნენ და მაშინვე ხელი ანებეს ამ საქმესა.

ორი მეგობარი და დათვი

ორი მეგობარი მიდიოდა გზასა. წინ დახვდათ დათვი. ერთი მაშინვე ხისკენ გაექანა, საჩქაროდ ავიდა ზედა და იქ დაიმალა. მეორემ ვერ მოასწრო, მარტოკა რომ დარჩა, მიწაზე დაეცა და თავი მოიმკვდარუნა. მოვიდა დათვი, დასუნა და ყური დაადო. კაცმა სული შეიგუბა, იცოდა, რომ დათვი, მკვდარს არას ერჩის. მართლაც, დათვმა არა დაუშავა რა და თავის გზაზე წავიდა. მაშინ ხიდან მეორე ამხანაგი ჩამოვიდა და ჰკითხა: დათვი ყურში რას გეჩურჩულებოდაო? – ის მე მირჩევდა, კვლავ ნულარ ივლი იმისთანა მეგობართან, რომელმაც გაჭირვების დროს მიგატოვა და ღალატი იცისო.

ანდაზა: **„მეგობრის მოღალატე ეშმაკის კერძიაო“**.

კერძო სკოლა ევროპული სტანდარტების დონეზე

„სინათლე“ ცოდნის მწვერვალებს იპყრობს

ბეთანია-ბეთლემის ქუჩების მცხოვრებთა და მთელი იმ უბნის დასახლების მშვენებაა კერძო სკოლა **„სინათლე“**. ბრწყინვალე სტილით ნაგები თეთრი შენობა

დამფუძნებელი გოჩა ლომიძე, აღმას. დირექტორი ანა არველაძე

ცოდნის შუქს ფენს იქაურობას. შიგნით შეხვალთ და უფრო მოიხიბლებით, ამ სკოლის დამფუძნებლის თანამემამულე პოეტის სიტყვებს გაიხსენებთ: „ეს თვალები რას ნახავენ, სხვა უკეთეს სანახავსო!“ინფრასტრუქტურა – უზადო, სასწავლო გარემო და განწყობილება – საუკეთესო. ამის აღწერით მკითხველს არ გადავღლით, მოკლედ მოვჭრით, აქ ყველაფერი ევროპული სტანდარტების დონეზეა.

შარშანწინ **„სინათლემ“** დაფუძნების 10 წელი იზეიმა და დიახაც ჰქონდა საქმე საზეიმოდ. მისი დამფუძნებელი გახლავთ საგანმანათლებლო სივრცეში მეტად ცნობადი სახე, სანიმუშო დირექტორი და პედაგოგი **გოჩა ლომიძე**.

მოკლედ გავაცნობთ მის ღამაზ ბიოგრაფიას საზოგადოებას. ჭიათურის მე-2 სკოლისა და ქუთაისის მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის აღზრდილი მთელი გატაცებით ჩაება პედაგოგიურ საქმიანობაში: იყო ფიზიკისა და მათემატიკის ჩინებული მასწავლებელი სოფლის სკოლებში, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში, სკოლის დირექტორი სოფელ **ნიგოზეთში**, ჭიათურის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე, განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი.

უკვე მეცამეტე წელია კერძო სკოლა „სინათლე“ დააფუძნა და მისი სადავეები ხელთ მარჯვედ უჭირავს. მუდამ ძლიერი პედაგოგები ჰყავდა ბატონ გოჩას და ახლაც ასეა, რაც უდავო წარმატების საწინდარია.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ახალი აღმასრულებელი დირექტორი შეემატა – დედაუნივერსიტეტის თანამშრომელი, ნიჭიერი პედაგოგი ქართული ენა-ლიტერატურისა **ანა არველაძე**.

ასევე ერთგულად დაუდგა გვერდით ბატონ გოჩას გამოცდილი მოადგილე **ზეინაბ პაპიძე**. ამას თუ სერთიფიცირებულ მასწავლებლებს: **მირანდა სამხარაძეს**, **ლალი ბიწაძეს**, **მაკა ნავროზაშვილს**, **ელისო ზანგურაშვილს**, **თამარ ვათიაშვილს**, **ლეილა ხვედელიძეს**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს **გიორგი უთურაშვილს** და სხვა გამოცდილ პედაგოგებს დავუმატებთ, მერწმუნეთ, ეს დიდი ძალაა და ამიტომაც აქვს სკოლას მაღალი შედეგები.

ამ ახალი სასწავლო წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ მოსამზადებელი (ე. წ. „ნოლი“) ჯგუფის შემოღება. ამ პატარებს I კლასისთვის უნარიანად ამზადებენ მასწავლებლები: **ნანა ჩიღვინაძე** და **ლეილა ხვედელიძე**.

საგნობრივ კათედრებს შემოქმედებითად უძღვებიან უნარიანი ხელმძღვანელები: საბუნებისმეტყველოსი – **ნაირა ნატროშვილი**, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრას – **ინგა ღლონტი**, უცხოური ენებისას – **ელისო ზანგურაშვილი**, დაწყებითი კლასების კათედრას – **მანანა ბარბაქაძე**. საინტერესოდ მუშაობს კლასის დამრიგებელთა კათედრა **ნათელა ცერცვაძის** ხელმძღვანელობით.

სკოლა ბრწყინვალედ არის აღჭურვილი კომპიუტერებით, ნოუთბუქებით, სხვა ტექნიკური საშუალებებით და სასწავლო თვალსაჩინოებით. პედაგოგები თანამედროვე, ეფექტიან გაკვეთილებს, სხვადასხვა სახის საინტერესო ღონისძიებებს და ექსკურსიებს ატარებენ.

კეთილმოწყობილი სასკოლო ბუფეტი სასიკეთოდ ემსახურება ბავშვებს. სკოლის ექიმი **ზეინაბ პაპიძე** მოსწავლეთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე მტკიცედ დგას.

ამ წიგნებთან გაუცხოების ეპოქაში მოსწავლეებთან ბევრს მუშაობს გამოცდილი ბიბლიოთეკარი **ნანა ჩიღვინაძე**,

რომელიც ამრავლებს მკითხველთა რიგებს, აყვარებს ბავშვებს წიგნის კითხვას, აჩვევს მათ კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენებას, აწყობს მკითხველთა შეხვედრებს, კონფერენციებს.

სკოლაში მთავარი მაინც სასწავლო პროცესის გააქტიურებაა, ეფექტიანი გაკვეთილები და ცოდნის ხარისხის ამაღლებაა, სხვანიარად, ამას მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სწავლება ჰქვია და ამ მხრივ მიღწევები სახეზეა, ბევრი ჰყავთ სწავლაში ნარჩინებული ბავშვები, ე. წ. „ათოსნები“, და ეს რომ ასეა, ამას მოსწავლეთა შემოქმედებით ტურებში, ოლიმპიადებში, სხვა სახის ღონისძიებებში მათი მასობრივი ჩართულობა და მოპოვებული გამარჯვებებიც მეტყველებს.

სკოლაში პრიორიტეტულია **მათემატიკისა** და **ინგლისური ენის** გაღრმავებული სწავლება.

შარშან 16-მა ახალგაზრდამ დაამთავრა სკოლა და მათი დიდი უმრავლესობა დღეს სტუდენტია, 70%-იანი გრანტით ჩაირიცხნენ: **მერაბ ბუზალაძე**, **ვაჟა ჩაკვეტაძე**, **სოფო ჭიბალაშვილი** და სხვები.

სკოლას წელს ჰყავს ძალიან ნიჭიერი და ბეჯითი მეთორმეტეკლასელი **ნათია კაპანაძე**, რომელიც მედალს უმიზნებს. ვუსურვებთ მას წარმატებებს.

ზემოთ ვთქვით, სკოლას ბევრი სწავლაში მამაცი მოსწავლე ჰყავსო, რაც უთუოდ მათი პედაგოგების კარგი, ეფექტიანი შრომის შედეგია. თავი ისახელეს

და სკოლაც, თავიანთი მასწავლებლებიც ასახელეს მოსწავლეებმა სასწავლო შემოქმედებით ოლიმპიადებში, კონფერენციებში, კონკურსებში აქტიური მონაწილეობით და იქ მიღებული ჯილდოებით. ყველა მათგანს ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ზოგი გამორჩეული ნიჭიერი უნდა შევაქოთ.

ქართულის ოლიმპიადაზე გაიმარჯვეს: **მერაბ ჯოხაძემ, გიორგი სანიკიძემ, იური ბუზალაძემ, სოფო პაიაშვილმა** (ყველა VIII კლასი, პედაგოგი **ნატო ტაბატაძე**).

დაწყებით კლასებში თავი ისახელეს მასწავლებელ **მანანა ბარბაქაძის** აღსაზრდელებმა: **ნიკა მჭედლიშვილმა, ელენე რევაზიშვილმა, ელისაბედ ქარცივაძემ, ლუკა გაროზაშვილმა, ნუცა ბუზალაძემ** (პედაგოგი **ნანა ახვლედიანი**), **მარიამ გაბედავამ** (**თამარ ბარამიძე**), მათემატიკაში გამარჯვებულნი არიან პედაგოგ **ვლადიმერ გაფრინდაშვილის** მოსწავლეები: **რევაზ წერეთელი** (X კლასი) და **გიორგი ლაგვილავა** (XI). **თამარ ბარამიძის** – **გლებ მეშვილდიშვილი** (VI), და **საბა ბუაძე** (VII). ყველა ამათ გაიმარჯვეს „კინგსის“ ოლიმპიადებზე. ეროვნულ ოლიმპიადაზე ბიოლოგიასა და სამოქალაქო განათლებაში პედაგოგების – **ზეინაბ პაპიძისა** და **ნუგზარ ჩიღვინაძის** გულები გაახარა XI კლასელმა **თეონა მამათელაშვილმა.**

განა მარტო ესაა გასახარელი სკოლა „სინათლეში?“ სკოლის სიამაყენი, სახელოვანი კურსდამთავრებულებიც უნდა გავაცნოთ საზოგადოებას: **გიორგი ლომიძე**, საქართველოს ახალგაზრდა ელჩია დიდ ბრიტანეთში. გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა ინგლისში „ექსტერის“ უნივერსიტეტი ეკონმომიკისა და ფინანსების განხრით. იგი აქ, დედაუნივერსიტეტში, მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და ახლო მომავალში ნიჭიერ პოლიტოლოგად მოგვევლინება.

ლევან მოსაშვილი წყალბურთში საქართველოს ნაკრების წევრია და დღეს გერმანიის ერთ-ერთ ძლიერ კლუბში თამაშობს.

ბევრ კურსდამთავრებულზე, რომლებიც სანაქებოდ სწავლობენ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში, სკოლას, მის დირექტორს, პედაგოგებს მოსდით მადლობის წერილები, მაგალითად, ასეთი მადლობის ბარათი აგრარული უნივერსიტეტიდან სკოლამ მიიღო **გიორგი ჩაკვეტაძის** სახელზე.

უნდა აღვნიშნოთ, სკოლის მარჯვენა ხელის, შრომისმოყვარე საქმეთა მმართველის **ნატო პაპიაშვილის** მონდომებული მუშაობა. მას ყველა აფასებს და პატივს სცემს კეთილსინდისიერი გარჯისთვის.

ასე რომ, კერძო **სკოლა „სინათლე“** დღითიდღე მხრებს შლის, პოპულარობას იხვეჭს, რეიტინგს იმაღლებს.

ბორის ევგენიძე

სამედიცინო კადრების ტრადიციული სამჭედლო

თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს საუკუნოვანი ისტორია აქვს, იგი დაარსებული იქნა 1918 წელს პირველი საფერშლო სკოლის სახელწოდებით. სწავლება წარმოებდა საფერშლო, ფარმაცევტული და ენტომოლოგიური განხრით და დიდ როლს ასრულებდა ეროვნული საშუალო სამედიცინო კადრების მომზადებაში. 1954 წლიდან ეწოდა თბილისის 1 სამედიცინო სასწავლებელი, 1962 წლიდან

დაიწყო კადრების მომზადება მედდების სპეციალობით.

ამჟამად თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელი მდებარეობს წერეთლის პროსპექტზე, ს. კედიას (ძველი კახოვკა) ქუჩის №7-ში. დაწესებულებაში შექმნილია ადაპტირებული და კომფორტული გარემო პროფესიული განათლების მისაღებად; ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია სასწავლო შენობა, აუდიტორიები, კაბინეტ-ლაბორატორიები: ფარმაცევტული, კბილის სატექნიკო, ანატომიის და სხვ. სიმულაციური პრაქტიკის სასწავლო ოთახი აღჭურვილია სამედიცინო ინვენტარით, მასალებით, უნივერსალური მულაჟებით და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლისათვის სათანადო პარამეტრების კომპიუტერული ტექნოლოგიის კაბინეტი და ბიბლიოთეკა, ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდით. აქ სწავლება ხორციელდება შემდეგ პროფესიულ პროგრამებზე: **პრაქტიკოსი ექთანი, პრაქტიკოსი ბებიაქალი, ექთნის თანაშემწე, ფარმაცევტის თანაშემწე, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი, კბილის ტექნიკოსი, მასაჟისტი.**

სასწავლებლის კურსდამთავრებულ დასაქმებულ სტუდენტებიდან აღნიშვნის ღირსნი არიან **ლიკა ბარნაბიშვილი** – „მედიაქლაბში“, **ეკა თათარაშვილი** – „ალადაშვილის I საუნივერსიტეტო კლინიკაში“, **ცოტნე ფაცაცია** – წმიდა იაკიმესა და ანას სახელობის კლინიკაში, **ნანა ჩოხელი** – რუსთავის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, **ნინო ომიაძე** – ჯოენის სამედიცინო ცენტრში, **გვანცა მერაბიშვილი** – მე-5 კლინიკურ საავადმყოფოში, **ილონა მოვხესიანი** – გვარამიას კლინიკაში, **ნათია ვადაჭკორია** – ჯოენის სამედიცინო ცენტრში, **ქეთი ნაზღაიძე** – შარაშიძის სამედიცინო ცენტრში, **მზევინარ ჯაბანაშვილი** – თიანეთის სამედიცინო ცენტრში, **თამარ დევიძე** – „ფარმადეპოში“, **მარიამ ასანიძე** – „პსპ“-ში.

სასწავლებელში ბევრი რამ კეთდება შემეცნებითი ცოდნის განმტკიცების თვალსაზრისით. არ შეიძლება არ დავასახელოთ განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტები: **ეკატერინე ჭავჭავაძე, მარინე დოლიაშვილი, ანა გოზალიშვილი, თეონა მწითური, ნელი ნუგზარიშვილი, ხათუნა მიქელაძე, მეგი ფოლადაშვილი** – საინგილოდან (საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ამ სასწავლებელში სტუდენტთა შორის გარკვეული რაოდენობა საინგილოდანაა). განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკული სწავლების და საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვან განხორციელებას, დადებულია მემორანდუმები ქალაქის სამედიცინო დაწესებულებებთან, როგორიცაა: წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო“, სტომატოლოგიური კლინიკა „დენტალ სმაილი Dental smaile“, ქ. თბილისის პედიატრიული პრივატკლინიკა, ს/ს „ბიოფარმი“, ფსიქონევროლოგიური კლინიკა „ვალეო 2006“, სამედიცინო ცენტრი „მკურნალი 2002“, ფარმაცევტული კომპანია „LT Farma“ და სხვა.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმდებიან როგორც თბილისის (56 სამედიცინო დაწესებულება), ასევე რეგიონალურ სამედიცინო დაწესებულებებში: **წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო, შპს „ნიუ ჰოსპიტალი“, თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა, №5 კლინიკური საავადმყოფო, ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრი „ჯაფარიძე-ქევანიშვილის“ კლინიკა, აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, გადაუდებელი მედიცინისა და ქირურგიის ცენტრი „ჰიგია“ ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა, ჯოენის სახელობის სამედიცინო ცენტრი, თიანეთის მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრი შპს „ჰეოჰოსპიტალს“, რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო, „ავერსის“ აფთიაქი, „გეოფარმი“, პსპ სააფთიაქო ქსელის აფთიაქები, „ფარმადეპო“, აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, ახალგორის კლინიკური საავადმყოფო, სტომატოლოგიური კლინიკა „ეფლ-დენტი“** და სხვა.

დაწესებულებას 33 წელია ხელმძღვანელობს გამოცდილი ორგანიზატორი, დირექტორი ბატონ **მერაბ ბიბილაშვილი**, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელია თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებლის არსებობის, განვითარების და ეროვნული საშუალო სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში.

კოლეჯის ხვალინდელი დღე, დიდი მომავალი

სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესებს წარმატებით წარმართავენ: მენეჯმენტის კვალიფიციური სპეციალისტი დირექტორის მოადგილე, ექიმი თერაპევტი **რუსუდან ჩიტალაძე**, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე საქმიანი და ენთუზიაზმით გამორჩეული სასწავლო პროცესების მართვის ხელმძღვანელი **ელენე ზაბახიძე,** სწავლების ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვებით და პერმანენტული კონტროლით ხარისხის მართვის მენეჯერი **ეკა კანდელაკი**, რომელსაც აგრეთვე დიდი წვლილი შეაქვს სასწავლო პროგრამების შემუშავების და მოდიფიცირების საქმეში. საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროცესებს წარმატებით ახორციელებს ენთუზიაზმით გამორჩეული, ახალგაზრდა კვალიფიციური კადრი **ნადეჟდა სპიცინა**. დაუღალავი შრომით და საქმისადმი თავდადებით გამოირჩევიან საქმეთა მმართველი **ია ვაჩაძე** და სტუდენტთა მიღების და მოძრაობის მენეჯერი **ნანა გორდიაშვილი**. დიდი გამოცდილების მქონე ტექნიკური პერსონალი **ნათია კანდელაკი** და **მანანა ფეიქრიშვილი**.

საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით გამოირჩევიან მასწავლებლები **მანანა თოთლაძე, ნუნუ კვალიაშვილი, თამაზ გელოვანი, ვანდა, ნიჟარაძე, ნატო გიორგაძე, ლალი გიორგაძე, გულიკო ცინარიძე, მაია აგლაძე, მაია გვაზავა, ზაზა ჩიქოვანი, დარეჯან კალანდაძე** და სხვები.

საწარმოო პრაქტიკას კლინიკურ ბაზებზე, ფარმაცევტულ დაწესებულებებში და სასწავლებლის კაბინეტ-ლაბორატორიებში ხელმძღვანელობენ გამოცდილი ექიმები **ტარიელ გამყრელიძე, ვეფხია ლომიძე, მანანა ბლაგიძე** და სხვები, ორთოპედი სტომატოლოგი **ზ. სიმონიშვილი**, კბილის ტექნიკოსები **თ. ჭურაძე, ნ. გოდერიძე**, ფარმაცევტები **მ. დულდედავა, მ. აგლაძე, ნ. მეგრელიძე** და სხვები.

№1 სამედიცინო სასწავლებელი – პროფესიული კოლეჯი სადღეისოდ განსაკუთრებით ამაყობს კურსდამთავრებული სპეციალისტებით.

კიდევ მრავალი პროფესიონალური კადრებით აღზრდასა და მომზადებას ვუსურვებთ სასწავლებლის მთელ კოლექტივს, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

რომან მოსეშვილი

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,

როგორ ცხოვრობთ, 215-ე ბაგა-ბაღელებო

ამ შაღნარში მზე ჩახჩახებს – თოჯინები იცინიან

ცეროდენების ზღაპრული სამყაროს ხილვა თუ გინდათ, თბილისის 125-ე ბაგა-ბაღს უნდა ეწვიოთ. ახლა გვიანი შემოდგომაა, მაგრამ მისი ოქროცურვილი მზე მის ხავერდოვან ეზოში ძალუმად ჩახჩახებს. დედაქალაქში არ მეგულება მეორე ბაღი, რომელსაც ასე ვრცელი ეზო ჰქონდეს, ცხენი რომ გაჭენდება ისეთი, სულო და გულო!“ – რა არ არის აქ ცუგრუმელებისთვის: კარუსელი გინდა, საქანელა, აიწონა-დაიწონა, „აჩუ ცხენო!“ და აქ ხალისიანად მოთამაშე-მოჟრიამული პატარებს რომ შეხედავს ასაკოვანი „ნეტავი, თქვენი ტოლი ვიყოო!“ – ინატრებს. ეზო ეზოა, მაგრამ ახლა ბაღში შიგნით შებრძანდით! სისუფთავე, სილაღე მშობლიური გარემო სუფევს. „თოჯინები, თოჯინები – ბევრი, ფერად-ფერადი!“ აი, მშობელთა კუთხე, აი, ბავშვების შემოქმედება. ნახატები – ნაირ-ნაირი, ბევრი სიახლეა. თვალსაჩინო ადგილას დევს „სასკოლო მზაობის პროგრამა“. ინფრასტრუქტურა რომ მოწესრიგებულია, ამაზე საუბრით მკითხველს არ გადავღლი. ყველაფერი ამერიკული სტანდარტების დონეზეა. ხო, მართლა, ამერიკის საელჩოს დახმარება-დაფინანსებით პრიორიტეტული გახდა ინკლუზიური სწავლების პროგრამა, რომელიც წარმატებით განხორციელდა. ეს პროექტი შარშან დასრულდა. ამისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას ესწრებოდნენ: თბილისის მერი **დავით ნარმანია**, საკრებულოს წარმომადგენელი **თამარ ტალიაშვილი**, ბაგა-ბაღის სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**, მაჟორიტარი დეპუტატი **ზურაბ ნეფარიძე**, ამერიკის მაშინდელი ელჩი **რიჩარდ ნორლანდი** და სხვა ძვირფასი სტუმრები.

როგორც ზემოთ ვთქვით, აქ პრიორიტეტულია ინკლუზიური განათლება. შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა ადაპტირებისთვის ნაყოფიერად მუშაობენ: დახელოვნებული სპეციალისტი **თამარ მახათაძე**, ფსიქოლოგი **ნატო შაყულაშვილი**, ლოგოპედი, **ლელა დავლაძე** და სხვა აღმზრდელები.,

და ყოველივე ამ სიკეთის მთავარი შემოქმედია ამ ბრწყინვალე ბაგა-ბაღის დიდი დიასახლისი, დიდად გამოცდილი, ზნეკეთილი დირექტორი **ხატია ლაშქარაშვილი.**

მოკლედ მინდა იგი მკითხველს გავაცნო: ქალბატონი ხატია თელავის III სკოლისა და ასევე თელავის პედაგოგიური უნივერსიტეტის აღზრდილია. აქვს პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება. ფიზიკას, მატემატიკას, ჩინებულად ასწავლიდა ჯერ თელავის სკოლებში, შემდეგ კი – თბილისის 87-ე საჯარო სკოლაში. უზომოდ უყვარს პაწიები, რამაც განაპირობა მისი გადმონაცვლება სკოლამდელ აღსაზრდელებთან. 8 წელია ამ დიდებულ ბაგა-ბაღს უნარიანად განაგებს. სწორედ მისმა შემოქმედებითმა ენერგიამ განაპირობა ცეროდენების ამ ზღაპრული სამყაროს ასე გაბრწყინება. დირექტორი მეტად პოპულარულია მშობლებში, რაც მთავარია, პატარებში. ხატია თავად ისეთი მშობელია, რომელზეც ვაჟა იტყოდა: „ლამაზად შვილის აღმზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადაო“. დიახ ლამაზად ზრდის იგი სამ ვაჟიშვილს, მის ოჯახში ხელოვნების კულტია. ხატიას მეუღლე **დავით ჩალათაშვილი** ყველასათვის საყვარელი მსახიობია.

დირექტორს ერთგულად უდგანან მხარში თანამშრომლები და საერთო საქმეს ერთად, შეხმატკბილებულად აკეთებენ. თავად ქალბატონი ხატია მაღალ შეფასებას აძლევს ყოველი მუშაკის, აღმზრდელი იქნება ის, თუ მისი თანაშემწე, ექიმი თუ მეეზოვე, ყველას თავდადებულ მოღვაწეობას ქებისა და მადლობის სიტყვებით მოიხსენიებს.

მშობლების თანადგომითაც ძალიან კმაყოფილია დირექტორი, რადგანაც ყველა საერთო საქმეში, ზეიმები იქნება, ეს, თუ სხვა სახის აღმზრდელობითი ღონისძიებები, მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ. დირექტორმა მადლობის სიტყვები არ დაიშურა აქტიური მშობლების: **ეკა ფურცელაძის, ლია ოშაყმაშვილის, ნანა შველიძის, ლოლიტა ცაცუას, პეტრე და აკაკი ჩუბინიძეების, ელენე კევლიშვილის** და სხვების მიმართ.

ბაგა-ბაღის საერთო წარმატებაში დიდია ღვაწლი გამოცდილი პედაგოგის, დირექტორის მოადგილის **შორენა პარუნაშვილისა**. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას უნარიანად წარმართავს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი (ადრე მეთოდისტი) **ნანული როსტიაშვილი**. იგი ბაგა-ბაღის სული და გულია. დიდი ყურადღება ექცევა სასკოლო მზაობის პოგრამას.

ახლახან შემოდგომის ზეიმი ჩაატარეს, უმღერეს შემოდგომის ბარაქას: „შემოდგომავ, შემოქმედო, შემოდგომავ მადლიანო, მტერმა გნახოს, შემოგხედოს, გული დაუდარდიანო!“

2015 წლის „თბილისობა“ 215-ე ბაგა-ბაღმა დიდებულად მოაწყო.

პატარებში ხელოვნების სიყვარულის აღზრდა ბაგა-ბაღის ერთ-ერთი ძირეული ამოცანაა. ეს ამოცანა ხორციელდება, როცა არემარეს ტკბილმშობლიური ჰანგები მოეფინება, მუსიკა ატკბობს, ცეროდენები მღერიან: „საზეიმო ხმები ისმის, გული ლხენით აივსო!“ აბა, ნახეთ, საახალწლო კარნავალები, ბაღის დამთავრების ან დედის დღის ზეიმები, როგორ ხალისობს, ცოცხლდება ბაგა-ბაღი, როგორ გახარებული არიან მშობლები თავიანთი შვილების ნიჭიერებით. ცეროდენების სულს აფაქიზებენ მუსიკის პედაგოგები: **თამარ აბაშიძე** და **ლიანა ლალიაშვილი**. ქართული ცეკვის ეშხს აზიარებს ცეროდენებს ცეკვის ჩინებული მასწავლებელი **მერაბ ობოლაძე**.

გასულ სასწავლო წელს, ივნისში ბაგა-ბაღმა სამი ჯგუფი, დაახლოებით 135 აღსაზრდელი ზეიმით და გზის დალოცვით გააცილა სკოლაში. ამ დაუვიწყარი ზეიმის ორგანიზატორები აღმზრდელებთან ერთად იყვნენ ზემოხსენებული მუსიკისა და ცეკვის მასწავლებლები. ჯანსაღი თაობის აღზრდა, მათში ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩანერგვა, ბაგა-ბაღის ძირეული ამოცანაა. მტკიცედ დგას ცუგრუმელების ჯანმრთელობის სადარაჯოზე გამოცდილი ექიმი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **გიული სალხუციშვილი**.

ბაგა-ბაღის ნორმალური ფუნქციონირება მთლიანად დამოკიდებულია სამეურნეო ნაწილის კოორდინატორზე, ამ მოვალეობას ქალბატონი **რუსუდან ხვიჩია** ხუთიანზე ასრულებს.

არ შეიძლება კარგი მუშაობისთვის, საქმის ოპერატიულად წარმოებისთვის მადლობა არ ვუთხრათ გამოცდილ საქმის მწარმოებელს **თამარ ლომიძეს**.

ახალი სასწავლო წლის კიდევ ერთი სიახლე ის იყო, რომ დედაქალაქის მერიამ მიიღო დადგენილება ბაგა-ბაღებში კვებითი რეჟიმის გაუმჯობესების, კერძების გამრავალფეროვნების შესახებ. ეს ახალი სტანდარტი ბაგა-ბაღში წარმატებით ხორციელდება. ცეროდენები ეკოლოგიურად ჯანსაღი, ყუათიანი, არომატული კერძებით იკვებებიან. პატარები დიდი სიამოვნებით მირთმევენ გემოვნებიანი მთავარი მზარეულის **მარინე ჩაჩანიძისა** და მისი დამხმარე მზარეულების **ეთერ ვაშაკიძის, ნინო ძულიაშვილის** მიერ დამზადებულ გემრიელ კერძებს.

კიდევ ბევრი კარგის თქმა მინდოდა 215-ე ბაგა-ბაღელებზე – ისინი ამას იმსახურებენ, მაგრამ მოდით, ეს სხვა დროისთვის იყოს.

ახლა მინდა **მუხრან მაჭავარიანის** პოეტური სტრიქონებით მოგმართოთ:

„კიდევ უფრო ბევრი შვილი, გამოზარდე სასახელო, კიდევ ერთი რუსთაველი კიდევ ერთხელ აამღერო, გევალება, ჩემო ბაღო, გაგიმარჯოს, საქართველოვ!“

დაგელოცოთ მარჯვენა, 215-ე ბაგა-ბაღელებო!

გორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

დაპურდი, გახდი ყანაო!“

გამარჯობათ, მე-8 ბაგა-ბაღელებო

ღელობრივი მზრუნველობა და ბევრი სიკეთე თქვენთვისაა



მე-8 ბაგა-ბაღი თბილისში, ქართლელიშვილის ქუჩაზე მდებარეობს, უფრო ზუსტად – 30 ნომერში. ბაღში პატარების აღზრდა-სწავლებისთვის, მართლაც ბრწყინვალე პირობებია შექმნილი, რაც მათი დიასახლისის ანუ დირექტორის **ჟუჟუნა (ფისო) სარსევანიძე-ჩაჩიბაიას** დიდი დამსახურებაა. ქალბატონი ფისო, უკვე 8 წელიწადია, წარმატებით იღვწის ამ დაწესებულების გაბრწყინებისთვის. მას საოცრად უყვარს პატარები და თანაბრად აფასებს თითოეულ თანამშრომელს.

ბაღში, მართლაც არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი, რაც შენობაში შესვლისთანავე იგრძნობა... ეზო მოწესრიგებულია და თან ლამაზად გაფორმებული. ბაღის ფოიეში თვალშისაცემია კედელზე გაკრული სხვადასხვა თვალსაჩინოება, პატარების შემოქმედება – ნახატები, გამოძერწილი ზღაპრის გმირები... ცეროდენები ამ ზღაპრულ სახლში, თამაშ-თამაშით სწავლობენ და თან ხალისობენ. ბაღი ჩართულია სასკოლო მზაობის პროგრამაში.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ ქალბატონი ფისოს მისვლის შემდეგ, ბაღი მართლაც აღორძინდა. მანამდე, აქ მხოლოდ 5 ჯგუფი ფუნქციონირებდა, შემდეგ თანდათან გაფართოვდა და ახლა უკვე 7 ჯგუფია, 2 ასაკობრივი, ხოლო 5-ბაგის ასაკის. შენობა, მართალია, ძველია, მაგრამ იგი გარემონტდა, შეიცვალა ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდა სანტექნიკა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, კეთილმოეწყო ოთახები და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით.

ასე რომ, მე-8 ბაგა-ბაღში პატარები თავს კომფორტულად და ბედნიერად გრძნობენ. ამიტომაც, მსურველთა რიცხვი გაიზარდა. ჯგუფების მატებასთან ერთად, რა თქმა უნდა, ბაღის თანამშრომელთა რიცხვიც გაფართოვდა. ამჟამად, ბაღში 41 თანამშრომელია. დირექტორის თქმით, ბაღს გვერდში უდგას და ეხმარება თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსი **თემურ თორდინავა**.

ქალბატონი ფისო, მართლაც არ იშურებს ძალისხმევას და ენერგიას, რათა ბაგა-ბაღი იყოს ყოველმხრივ მოწესრიგებული და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.

დირექტორის მოადგილე გახლავთ თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე – **ელზა მელიქიშვილი**, რომელიც არის საკმაოდ ენერგიული ადამიანი და შესანიშნავად ასრულებს თავის დაკისრებულ მოვალეობას.

აღსაზრდელების წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს (მეთოდისტს) **ცისანა საყვარელიძეს**. ბაღს ემსახურება ლოგოპედი **მაია ზანდუკელი** და ფსიქოლოგი **მანანა მაისურაძე.** საქმისმწარმოებელი **მზია არაბული.**

საბავშვო ბაღს, ასევე ჰყავს ჰიგიენის კოორდინატორი **ირინე ყურაშვილი,** რომელიც პატარებთან სათუთი და სათნო დამოკიდებულებით გამოირჩევა. მკაცრად იცავს სანიტარულ ნორმებს და მშობელთა მეთვალყურეობით, ბავშვების ჯანმრთელობას დიდ ყურადღებას აქცევს. ამიტომაც, დიდ შექებასაც იმსახურებს.

ცეროდენების აღზრდისთვის და ნორჩების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის, მართლაც ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფს, რაც აღმზრდელების: **ირმა ნარიმანიძის, მეგი გოგაშვილის, მაია მანჯგალაძის, ნანი კენკებაშვილის, ხათუნა ჭინჭარაულის, ზოია ევანისელის, ნატო დაუთაშვილის, ლია გოგოლაძის, თამარ სითათაშვილის, ასმათ გიუნაშვილის, ნინო შიუკაშვილის, სოფო გოგიშვილის, ფიქრია ოქრიაშვილის და ციური დალაქიშვილის** დამსახურებაა. ისინი გამოცდილები, პროფესიონალები არიან. მათ ბავშვების აღზრდაში ეხმარებიან აღმზრდელების თანაშემწეები: **იზა ცაბაძე, რუსუდან ხორბალაძე, ზეინაბ თამაზაშვილი, დალი ფაილოძე, ირმა ბურდული, ნონა ედიშერაშვილი, ნონა შეროზია, და მარინე მერებაშვილი.** ისინი, დღენიადაგ ცდილობენ, რომ პატარა ადამიანების ფორმირებას, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი.

ბაგა-ბაღს ემსახურება მაღალკვალიფიციური ტექ-პერსონალი, რომლებიც მუდამ ზრუნავენ პატარების უსაფრთხოებაზე. ესენი არიან:

დარაჯები **თინა მუქერია** და **გოგა თელია.** მუშა **გელა ჩაჩიბაია**, შექებას იმსახურებენ დამლაგებელები: **ნათია ედიშერაშვილი, ზილინაშვილის და ზოია ნათენაძის** შრომას, რომელებიც გამოირჩევიან კარგი კულინარიით და სისუფთავით.

ბელა წიკლაური, რუიზანი სიხუაშვილი, ნატალია ვარსემაშვილი და მებაღე **როზა კარაპეტიანის** საქმიანობა, რადგან ბაღში მუდამ სისუფთავე და წესრიგია.

დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს მზარეულების: **მარინე** ყველა იმ კონცერტის სულისჩამდგმელიც, ბაგა-ბაღში რომ ტრადიციულად იმართება სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებები. ამ დღეებში უკვე მოეწყო საშემოდგომო ზეიმი სახელწოდებით ,,შემოდგომის დილა“, სადაც პატარებმა მოილხინეს და შემდეგ შემოდგომის ნობათიც დააგემოვნეს.

მე-8 ბაგა-ბაღს უფრო გაბრწყინებას ვუსურვებთ.

მზია გოგოძე

თბილისის 178-ე საჯარო სკოლაში

საუკეთესო შედეგებზე ვართ ორიენტირებული

ჩინებულ პედაგოგს, გამოცდილ დირექტორს **ნანა ლაბაძეს** *მივმართეთ კითხვებით: როგორ მოემზადეთ ახალი სასწავლო წლისთვის? როგორია გასული სასწავლო წლის შედეგები? რა სიახლეები დაინერგა და ინერგება მომავალში?*

გთავაზობთ მასთან საუბრის მოკლე შინაარსს.

***

პირველი კლასების რაოდენობა, რომელიც გაიხსნა 2015-2016 სასწავლო წელს, არის ოთხი.

სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი ბუფეტი და ახლადგარემონტებული სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და რესურსოთახი მოსწავლეთათვის. დირექტორის მოადგილეები არიან: **ია წიკლაური** და **ეკა ბარათაშვილი**. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა **ნანა მოსეშვილი**. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ XI კლასელი – **მერი ჯულაყიძე**. სკოლაში არსებობს შემდეგი საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის – **ციცინო ჯაბახიძე** (ხელმძღვანელი), საზოგადოებრივი მეცნიერებების – **ირმა გიკაშვილი**, უცხოური ენების – **ლილე გელაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **თამარ კამკამიძე**, I-V კლასების მასწავლებელთა ინტეგრირებული კათედრა – **გულთამზე ბულისკერია**, მათემატიკისა და ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების – **დოდო თხელიძე**, ესთეტიკის და სპორტის – **ირმა კელაპტრიშვილი**. სკოლას ჰყავს 30 სერთიფიცირებული პედაგოგი. 1 დოქტორი – **დოდო თხელიძე** (მათემატიკის ასოციაციის ხელმძღვანელი), 3 დოქტორანტი – **ირმა გიკაშვილი, ნატალია ომანიძე** და **ეკა ბარათაშვილი**, ერთი 1000 ლარიანი ხელფასის მქონე პედაგოგი – **დიანა მორბედაძე**, ერთი პრეზიდენტის სტიპენდიანტი და 2014-2015 სასწავლო წლის წარმატებული მასწავლებელი – **ციცინო ჯაბახიძე.**

გასულ სასწავლო წელს სკოლა დაამთავრა სამოცმა მოსწავლემ. ორი იყო ოქროსმედალოსანი: **ბრონისლავ ოდილავაძე** და **მარიამ ქებაძე**. 46 გახდა სტუდენტი. სამმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა 100%-იანი გრანტი: **გუჯა ავსაჯანიშვილმა**, **რუსუდან კილურაძემ** და **ბრონისლავ ოდილავაძემ**.

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: კალათბურთის – პედაგოგი: **მიხეილ ანდღულაძე**, ფეხბურთის – პედაგოგი **ალექსანდრე ჩადუნელი**, კარატეს – პედაგოგი: **ემზარ მამაგულიშვილი**, ჭადრაკის – პედაგოგი – **მანანა კეკელია**, ქორეოგრაფიის – პედაგოგი: **ბადრი მიქაძე**, საესტრადო მუსიკის პედაგოგი **მზია კელაპტრიშვილი**, კლასიკური მუსიკის პედაგოგები არიან **ლია გურგენიძე**, **ალვინა აფანასევა** და **ლია გარსევანიშვილი**. გახანგრძლივებულის ნიჭიერი პედაგოგია **ინეზა კვაშილავა**.

მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და ოლიმპიადებში. გასულ სასწავლო წელს ჩატარდა ბევრი სასკოლო ღონისძიება და სამოდელო გაკვეთილი. ჩვენი პედაგოგები დაინტერესებულნი არიან პროფესიული განვითარებით და წარმატებულად მოღვაწეობენ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ საერთაშორისო კონფერენციებზეც. ბათუმში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს მათემატიკის პედაგოგებმა **დ. თხელიძემ** და ისტორიის მასწავლებელმა **ი. გიკაშვილმა**.

სკოლაში ისტორიის პედაგოგის **ლია ჯანაშიას** ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს ინტელექტკლუბი **„რა? სად? როდის?“**. ამ ინტელექტკლუბმა მეორე ადგილი დაიკავა ინტელექტუალურ თამაშზე, დაჯოლდოვდა მადლობის სიგელით და სამახსოვრო ხატით.

დაწყებითი საფეხურის რამდენიმე პედაგოგმა განახორციელა პროექტი: **„შემოდგომა ჩვენებურად“**, რომელშიც 7 კლასის 200-ზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული. ამ საინტერესო პროექტის ავტორები იყვნენ დაწყებითი კლასების მასწავლებელი **ნინო კაკაჩია** და მუსიკის პედაგოგი **ხათუნა არველაძე**. **ირინე ჩიტაძის** ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა საკუთარი ხელით შექმნეს თოჯინები, წარმოადგინეს სპექტაკლი **„დათუნია დრუნჩა“**, რომელიც მუსიკალურად გააფორმა **ხათუნა არველაძემ**. წარმოდგენას დაესწრო დაწყებითი საფეხურის ყველა კლასი.

პოპულარულია **„საინტერესო შეხვედრების კლუბი“** ქართულის პედაგოგის **ციცინო ჯაბახიძის** ხელმძღვანელობით, რომელმაც წარმოადგინა ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება: **„ადამიანი გაზეთის სვეტში“** და **ლია ლიქოკელის მეტაფორების წვიმაში**. სამოქალაქო განათლების პედაგოგმა **ნინო მათიაშვილი-ბერიძემ** სკოლა ჩართო სამოქალაქო განათლების პროექტში.

ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ჭადრები“ **ბადრი მიქაძის** ხელმძღვანელობით და საესტრადო მუსიკის წრის პედაგოგმა **მზია კელაპტრიშვილმა** წარმოადგინეს მასშტაბური გალა კონცერტი აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო თეატრში. ნაყოფიერად მუშაობენ სკოლის ფსიქოლოგი: **ქეთევან ონიანი** და სპეციალური პედაგოგი **მანანა შენგელია**.

სკოლის ერთობლივი ძალებით ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიება მოხუცებისთვის „ჩვენც დავბერდებით“.

წარმატებით ხორციელდება სასკოლო პროექტი **„წიგნი ცხოვრების მასწავლებელია“.** სკოლა აქტიურადაა ჩართული USAID-ის საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში (G-PRIED), პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამაში.

მომავალში კიდევ ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდება, რომელიც მკვეთრად აამაღლებს სწავლა-აღზრდის ხარისხს.

ესაუბრა **ბორის ევგენიძე**

ნაირ-ნაირი

ბოლო დროს მეტად ენამოსწრებული, იუმორისტულ ჟანრში განაფფული ჟურნალისტი შემოგვემატა. გვახარებს, რომ იგი ასე პროდუქტიულია, დღევანდელობის სატკივარს ეხმაურება და მუდამ მიზანში ახვედრებს. იგი XIX საუკუნის მოსე მწერლის ალიკვალია, ოცდამეერთე საუკუნის **მოსე მწერალი-2** გახლავთ.

გთავაზობთ ორ ჩანაწერს მისი უბის წიგნაკიდან.

პაროდიული აფორიზმები

სოციალური

***

მას დედის ძუძუ ტკბილი არაფრად შერგებია,
მასწავლებლის დახმარება ვისაც დაზარებია.

***

სწავლის ძირი მწარე არის, კომპიუტერში გატკბილდების?

***

რომ არ ვიწვალო წიგნებით ბევრი, აგერ არ არის კომპიუტერი?

***

რაღა ჯობია თუ ვარდი, უეკლოდ მოიკრიფების.

***

წიგნის კითხვა ძნელი არის, კომპიუტერში იოლდების.

***

საქმის კეთებაა ძნელი, თორემ კრიტიკოსი ბაღდადიდანაც მოვაო.

***

ამერიკული ჭინჭები ურჩევნია მას მამულსა.

***

ბრაიზას, ბაროზოს, ბილდტს, ნავაროს თუ ფულეს,
გონს მოვეგოთ, ქართველებო, ნუ შევაჭმევთ ჩვენს ფულებს!

***

ბევრ დაპირებულს ცოტა შესრულებული ჯობიაო.

გამჭვირვალობა

ვინც ბევრს ყბედობს გამჭვირვალობაზე, სწორედ ის არის ყველაზე გაუმჭვირვალე. იგი წარამარა გაიძახის: გამჭვირვალობა დემოკრატიის მონაპოვარიაო. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ, მავანო, ისე გიცხონდა ცხვირი, შენ რომ ამას გულწრფელად ამბობდე. ეს დემაგოგიისთვის გჭირდება, თორემ შენ ხომ ის ხელმძღვანელი მუშაკი არა ხარ, რომელიც ყველაფერს უკუღმა აკეთებ? ვერ მომატყუებ. მე ოცდამეერთე საუკუნის მოსე მწერალი ვარ. **შენ ვერც მეცხრამეტე საუკუნის მოსე მწერალს მოატყუებ. შენ გაკვეთილებზე პედაგოგის სათვალთვალოდ საკლასო ოთახის კარებში მინები რომ ჩასვი, ამას გამჭვირვალობას ეძახი?**

მივმართოთ ფაქტებს: „ავადსახსენებელი“ კომუნისტების დროს განათლების მინისტრად (სხვა სფეროებს არ ვეხებით) ცეკას მდივანი **გურამ ენუქიძე** გადმოიყვანეს. თათბირზე ჟურნალისტები დაგვიბარა. შუა საუბარში რომ ვიყავით, თანაშემწე შემოვიდა: სვანეთიდან პედაგოგები არიან ჩამოსულიო.

ბატონმა გურამმა ბოდიში მოგვიხადა: პედაგოგების მიღება ხუთი საათიდან გვაქვს. იმ სიშორიდან, იქნებ რამე საჩქარო საქმეზე არიან ჩამოსული, ან დღესვე აპირებენ დაბრუნებას. ვეღარ ვალოდინებო.

მინისტრის კაბინეტი დავტოვეთ.

დღეს? დღეს სკოლის დირექტორს, თუ მისი მობილურის ნომერი არ იცი, სასაუბროდ ვერ მოიხელთებ. შეხვედრასა და მიღებას ვინ ჩივის?

აი, შაშკინის მიერ დამკვიდრებული მეთოდიკა: დარეკავ სკოლაში, მოხვდები კანცელარიაში. თითქმის არ არსებობს შანსი, პირდაპირ დირექტორთან გახვიდე. კანცელარიის მოხელე ე. ი. საქმეთამმართველი გამომძიებელივით დაადგენს შენს ვინაობას. დირექტორს, თუნდაც იქვე იჯდეს, გუნებაში თუ არ მოუხვედი, თანაშემწეს ათქმევინებს: წასულია სამინისტროში, რესურსცენტრში, ან სადმე შეხვედრაზეა. მობილურის ნომერს თხოვ? ვინ მოგცემს: აკრძალული გვაქვსო. **ვინ აკრძალა? იმ ხელმძღვანელმა პირმა, რომელიც ყველაზე ბევრს ლაყბობს გამჭვირვალობაზე.**

დირექტორის გაუფრთხილებლად მიხვედი სკოლაში? იგივე პროცედურები უნდა გაიარო, ორი ბარიერის დამატებით: პირველი გამომძიებელი შესასვლელის დარაჯია, მეორე – მანდატური. დავუშვათ, ვერცერთმა შეგამჩნია, ისე გაძვერი კანცელარიაში, იქაც გეტყვიან, დირექტორი არ არისო. კიდევ დავუშვათ და... დირექტორი „გამოიჭირე“. თვალში თუ არ მოუხვედი, დიდ ღონისძიებაზე გავრბივარო., – გეტყვის და უყარე კაკალი. **ასეთ მოჯადოებულ წრეში ტრიალებს ჩვენი „გამჭვირვალობა“.**

ბოლოს და ბოლოს, სკოლის დირექტორი რა იმხელა უშველებელ-უზარმაზარი პიროვნებაა, რომ მასთან დაკავშირება არ შეიძლებოდეს?

მოსე მწერალი

„სიძვილისადმი ნდობა-პაუოვი, თუ ჩვენში ოდნავ მაინც ცოცხალს...“

ალალი ბუხუალი – გარდაცვალების 100 წელი

განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა;
მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.
დადუმებულა მთაწმინდა
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა;
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.
მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.
მგოსანი გრძნობამორევით
თვალს ავლებს არემარესა,
და გულის-პასუხს ნარნარად
უმღერის ტურფა მხარესა;
„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..
„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.
„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.
„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო, –
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო!..
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო...
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
„დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!..“

ვაჟა-ფშაველას

ენას გიწუნებ, ფშაველო,
მგოსანო მაღალ მთისაო,
თუმც კი გვითესავ მარგალიტს!..
მკითხველიც იმას მკისაო!
ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთში,
მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;
შენ დამიხატე ის მხარე
ფშაურის ჭკუა-გრძნობითა.
და რაც არ გადმოგიცია
მის შვენებაზე ენითა,
მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს,
შენთანვე აღმაფრენითა.
ვიცი, რომ ფშავლის სოფელი
წმინდაა მაღალ მთისაო,
ენა-მეტყველი სიმართლის,
გულ-მკერდი – ფოლადისაო.
წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,
სადღეისო სჭრის კალამი...
გადაეც ბარის მგოსნისგან
მთიულებს ძმური სალამი.

ვაჟა-ფშაველა – გარდაცვალების 100 წელი

დაგვიანებული პასუხი აკაკის

ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა
შენთვის, მხცოვანო პოეტო;
დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა,
როს დავაპირე სიტყვის თქმა,
უცებ თავზარი დამეცა:
სიტყვა მოსული სათქმელად,
ენიდან მომწყდა, გამექცა.
რადა? რა ღმერთი გამიწყრა
მარგალიტების მფლობელსა,
რომ თავის უშნო ენითა
ვერას ვაგონებ მშობელსა?!
ბულბულისათვის გალობა
დაუწუნია რომელსა?
მარგალიტების მფლობელი
ენასა ხმარობს ღონედა,
და როცა მარგალიტს სთესავს,
ან თუ ააგებს ყორედა,
მაინც ის არი, რაც არი,
ჭორები მოაშორეთა!
იქნებ მე, ჩემმა ენამა,
სამშობლო დავაღონეთა?
ფრთები შევკვეცეთ ოცნებას,
დავამხეთ, დავამონეთა?
უვარგისობის მიზეზი
ფშავლობა არის სწორედა.
მოძღვნილი არის მთის მიერ,
ჩამოტანილი ქარისა,
რატომ არ ჰგუობს არ ვიცი,
ამ ჰანგს ბუნება ბარისა?!
აქაც ხომ ქართველები ვართ
ყვავილი აქაც ჰყვავისა,
ხატად ჰყავთ, სალოცავ ხატად,
მთიელთ სამშობლო თავისა.
და ენა მთისა სიმტკიცით
მსგავსია კლდისა სალისა;
იქნებ, აკლია, არ ვიცი,
ამ ლომს სინაზე ქალისა?
ამისთვის დასაგმობია
და წასაღები წყალისა?!
კაცი მეტყველი, მგრძნობელი,
ცხოვლად ამხელი თვალისა,
ამგვარის ამბის მოწამე,
შევდრკე, დავმუნჯდი ლამისა.
მაინც წინ მივალ, მაინცა
არ მეშინიან შარისა,
გულს მისვენია ხატადა
ენა მთისა და ბარისა.
მე არცერთ კილოს არ ვწუნობ,
თუა ქართველის გვარისა,
მოთაყვანე ვარ ყოვლისა
იმათ ტკბილის და მწარისა.
სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ,
დამხობი მზის და მთვარისა,
სამშობლოს დამამხობელი
და გამომჯრელი კარისა...
სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა.

«ჩხოროწყუობაზე» მუხურში გაიხსნა ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის თაოსნობითა და ხელშეწყობით მიმდინარე წლის 8 ნოემბერს, მუხურის თემში, სადაც დაიბადა და გაიზარდა გამოჩენილი პოეტი **ლაშა გახარია**, გაიხსნა მამამისის კაპიტონის, ძმების – ზაურისა და ლაშა გახარიების სახლ-მუზეუმი. მუზეუმის გახსნა ჩხოროწყუობის სახალხო დღესასწაულს დაემთხვა და მას ესწრებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი **ლევან შონია**, ადმინისტრაციის უფროსი, პოეტი და მწერალი **ლაშა გვასალია**, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი **დავით გოგუა**, ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **ელგუჯა ბერიშვილი**, პოეტის ოჯახის ნევრები, მეგობრები და სხვები.

ღონისძიებაზე სტუმრებს მიესალმნენ: **ლაშა გვასალია**, **დავით გოგუა**, **ელგუჯა ბერიშვილი,** ჟურნალისტი **გვანჯი მანია.** სტუმრებს მიესალმა და მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა პოეტ **ლაშა გახარიას** მეუღლემ **როზა ბერიკაშვილმა**. ასევე სიტყვით გამოვიდნენ, მწერალი და კრიტიკოსი **იკა ქადაგიძე,** პოეტი **ლია ნაროუშვილი**, **მერაბ კვიციანი**. პოეტის ლექსები წაიკითხეს მუხურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა,

ლამაზად და შნოიანად მოწყობილ სახლ-მუზეუმის ეზოს შესასვლელს ამშვენებდა ლაშას ხელნაწერი ლექსის პლაკატი:

„...პოეტი, მაინც, – ერთი ლექსია, ობლის ცრემლივით ცამდე მართალი...“

ეზოში ლამაზად იყო განფენილი ლაშას წიგნების პლაკატები. ეზოს აშკარად ეტყობოდა გემოვნებიანი ადამიანების ხელი.

დღის მეორე ნახევარში ზეიმმა ჩხოროწყუს ცენტრალურ ქუჩაზე გადაინაცვლა, სადაც ყოველი თემის წარმომადგენლებს თავიანთი პავილიონი ჰქონდათ გახსნილი და გამვლელ სტუმრებს ეპატიჟებოდნენ თავიანთი შემოდგომის დოვლათის დასაგემოვნებლად. სადღესასწაულო საღამო კონცერტით დაგვირგვინდა.

ზურაბ ქობალია

საქართველოს აფხაზეთი გაუსაძლისად ტკივა!

პოეტურად გათავისებული ტრაგედია



აფხაზეთის ტრაგედიაზე არაერთი ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა. თუდნაც ვახსენოთ ისეთი, როგორიც არის: **გურამ ოდიშარიას „ზღვა, რომელიც შორია“, მირიან ჯალაღონიას „აკრძალული სიყვარული“, ტარიელ მუმლაძის „ქალი ენგურს გაღმა“, ომარ ხუხუას რომანი „კოლხეთის ზარი“** და სხვა. მაგრამ პოემა, როგორც ასეთი, არავის ჰქონდა დაწერილი. და, საბედნიეროდ, აი, ისიც: დიდი პატრიოტის და ერისშვილის **აკაკი შენგელიას** უკვდავი ქმნილება „**ჩრდილო დათვის სისხლიანი ნაკვალევი“.**

მამულიშვილობის მაგალითად ქართველი კაცი ცოტნე დადიანს ხშირად ახსენებს. საბედნიეროდ, საქართველოს დღესაც ბევრი ცოტნე ჰყავს და მათ შორის, ერთ-ერთი გამორჩეული ამ პოემის ავტორიც გახლავთ. მან თავის თავზე უმწვავესად იწვნია მშობლიური მხარის – აფხაზეთის ტრაგედიის ყველა საშინელება და არ გატყდა, მაინც დარჩა „იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“.

ბატონი აკაკი პროფესიით სამთო ინჟინერი გახლავთ. ამიტომ წიგნის კითხვის დაწყებამდე ვფიქრობდი: ეს პოემა პოეზიის მოყვარულის ნაკალმარი იქნება-მეთქი. როგორც კი შესავალი წავიკითხე, აი, **„ევრიკა!“** დავრწმუნდი, რომ პროფესიონალ პოეტთან მქონია საქმე. კითხვის პროცესში პოემამ არათუ დამიპყრო, რაღაც საოცარი ასოციაციაც აღმიძრა შორეულ წარსულთან. ამ საიდუმლოს შესახებ წერილის ბოლოს ვიტყვი, წინასწარ კი ვამბობ, ამ საუკუნის გარიჟრაჟზე პოეტურ სივრცეში ჯერჯერობით ამის მსგავსი არაფერი შექმნილა. ამიტომ ეს პოემა მცირე საგაზეთო ანოტაცია-რეცენზიისთვის არ მემეტება. მას ფართო დიაპაზონის, ერუდირებული კრიტიკოს-შემფასებელი ელოდება. ჩვენ კი ვეცდებით ძალზე მოკლედ ვაცნობოთ მკითხველს ამ დიდებული წიგნის გამოცემის ფაქტი.

ორას გვერდზე მეტი უჭირავს პოემას. იგი არის მხატვრული ეპოპეა აფხაზეთის ომისა თავისი სულისშემძვრელი საშინელებებითა და ტრაგიზმით. პოეტური რომანი ორი ნაწილისგან შედგება: **„დაუნდობელი ძმათაკვლა“** და **„დევნილობაში“**. ყველაფერი, ყველა მოვლენა – წვრილმანი – სიუჟეტური ქარგა შეკრულია კომპოზიციური ლოგიკით და აცოცხლებს საქართველოს დღევანდელ ვითარებას. ამას მკითხველი ქრონოლოგიურად, ფრაგმენტულად, კალეიდოსკოპურად ქვესათაურების, შეგონებების, სხარტულა ფრაზების წარმოდგენითაც იგრძნობს.

ციტატებს გთავაზობთ, მკითხველო, და თქვენ ყველაფერს მიხვდებით: „ან ვინ დაჰყო, ვინ დაშალა ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, აჭარა და აფხაზეთი?!“ „ერთიმეორეს გადაამტერა ხალხი უკუდო ამპარტავნობამ“, „და, თუ ბატონობს ხალხის გამცემი, ქვეყნის მმართველიც ავაზაკია“, „ქართველს მუდამ შეუძლია აჩქარებით აყვეს ვნებებს“, „პირველი პრეზიდენტი“, „კრაზანების ბუდე“, „სტუმარს თვისი ადგილი აქვს, იცოდე და იქ დასმიდე“, „სხვისი საქმე გავასწორეთ, საკუთარი გავიმრუდეთ“, „დაბეჩავებულ ხალხს მართავს ჯიბგირი და ნაციხარი“, „მხედრიონი“ სამეგრელოში“, „შუღლის კერა“, „დაგეგმილი ომი“, „მეგობარი“, „სომეხი“ და „კრუნკი“, „მაშველები“ არ ჩქარობენ“, „ბრძოლები და ტრაგედია გაგრაში“, „იქნებ გადავარჩინოთო აოხრებას ჩვენი „აყვა“. გუმისთის, ტამიშის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის და სხვა ბრძოლების პერიპეტიები... სიცრუის, ღალატის, მხეცობის ეპიზოდები... „და ცბიერი თურმე ქსელს ხლართავდა ოსტატურად“. „საერთო გულისტკივილი“ – „ბრძანებით გამარჯვების დათმობა...“ ტამიშის დესანტი, „ვაი, მძინარე მეომრებს ხვიჩას, ბაჩუკის, და ტიტეს!“ „ზავი მეხუთეჯერ და მისი მწარე შედეგები“, „მძარცველს ფრტონი“ თავისი აქვს. სად? ნუ ეძებ ცნობარებით!“ ჭუბერის გზაზე. ენგურზე გადმოსვლა. დევნილთა სამი ნაკადი. „სიზმარია თუ ცხადია, ზღაპარია თუ არაკი, მოულოდნელად დაეცა აფხაზთა დედაქალაქი“, „დევნილობაში“, ზვიადისა და ზვიადისტების ეშაფოტი“, „ისევ ბრძოლები, ძმათა კვლა, ჯაბა-ჯუბაზებს ლოთი ცვლის“, „იყიდება საქართველო!“ „უაბედოდ როდის იყო ცეცხლს ანთებდა ქვა და კვესი!“

სხვა თემატიკაზე შეთხზული ლექსები: „კარის მეზობელი“, „დათვური სამსახური“, „ჯაბაზისტები“, ვრცელი ლირიკა „სიზმარი“, „უპერსპექტივო“, „მჯდომარე აქცია“, „ლტოლვილი ნაფიჩხოუდან“, „გმირი დედები“, „სხვისი ჭირი...“ „რა დღეშია ზღვისპირი, ვნახოთ ილორ-ბედია, მკვდართა გამოტირებაც ვეღარ გაგვიბედია“, – წერს **უჩა ზღვაპიჯელი.** პატრიოტებს ვერეკებით, მტრებს კი ვეფერებით, „მადლი სომხურად!“ „რაც მოგივა დავითაო...“ ჩვენი ცხოვრება გამხდარა „ამაოების ბაზარი“. ედუარდ შევარდნაძის სახე.

პოემის მხატვრული ქსოვილი გაჯერებულია პოეტური სამკაულებით: ეპითეტები, მეტაფორები, ომონიმები, ალიტერაცია უხვადაა: „ხალხი ღელავს, ბობოქრობს, ო, ეს შენ ხარ, კონდრატე? ყველას პირი შეგიკრავთ, დაპირების ოსტატებს“, ომონიმური მაჯამები: „ალბათ უნარი და არც დრო იმისთვის აღარ **მეყოფა**, გავიხსენო და აღვწერო დევნილთა მძიმე **მე ყოფა**“, „რომ დაადგო ქალაქი და მიატოვა ჯარმა **„აყვა“**, ოჩამჩირის დაჯგუფებაც ამ მაგალითს მყისვე **აყვა**“, აფორიზმი: „შუღლის მიზეზი თუ გაქრა, ხიდის გადებას რა უნდა?“ ალიტერაცია: „გზა დაგვექცა, ძმა მტრად გვექცა, რომ გამხეცდა – მამას ეცა, მოწუწუნემ ცრუმორწმუნემ გაგვინაწყენაო ზეცა“., რითმის და რიტმის ჰარმონია: „ჰყავდა ცხვარი, თხა და ღორი, ჰყავდა ვირიც მოგრძოყურა, თითო წყვილი ცხენი, ჯორი და დარაჯად ძაღლი მურა“.

ვერ შევძელი სრული მიმოხილვა. მიმიხვდით მკითხველო, საჭიროა, აუცილებელია, ჩაღრმავებით, გულდასმით წაკითხვა წიგნისა „ბედი ქართლ-აფხაზეთისა“.

დროა საიდუმლოს გამჟღავნებისა: ამ წიგნის კითხვისას თავიდან ბოლომდე ჩემს ყურში ზარივით ხმიანებდა ტრაგიკული სიმფონია „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა მჭევრი“. დიახ, ეს პოემა არის ჩვენი დროის „აფხაზეთისა და ქართლის ჭირი“, ხოლო **აკაკი შენგელია** – დღევანდელი საქართველოს **დავით გურამიშვილი.**

ცოტნესდარი პატრიოტი რამდენიმე თვეში 90 წელს მიუკაკუნებს. 100 წლის ბარიერის იოლად გადალახვა ვუსურვოთ დიდ პოეტსა და მამულიშვილს!

ბორის მიშველაძე (კინდღელი)

კოლეგიალობა ცალმხრივად?

„თხა თხაზე ნაკლები“

ამ პრობლემას პოლიტიკური ნაწილი ჩამოვაშოროთ და მხოლოდ მორალური სახე დავუტოვოთ. **„რუსთავი-2“-ს** რომ გაუჭირდა, აყვირდა: თავისუფალი სიტყვა საფრთხეშია! კოლეგებო, სოლიდარობას გთხოვთო! (მტყუან-მართალი სამართალმა გაასამართლოს) და იქვე გაუთავებლად აპელირებენ: ჩვენ ყველაზე რეიტინგულ-პოპულარული ტელევიზია ვართო, ჩვენისთანა ერუდიტი, გამოცდილი, შემოქმედი ჟურნალისტები არცერთ ტელეკომპანიას არ ჰყავსო. ერთი თავით ყველაზე მაღლა ვდგავართო.

ამ დროს დაავიწყდათ, რომ „თავის ქება კიტრად ღირს“, რომ ამით ცარიელი თავთავივით ცხივრს მაღლა წევენ და კოლეგებს ამცირებენ, გულში წყენას უგუბებენ ამ ანდაზის ძალით: „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო“. მართლაც საინტერესოა, რა პარამეტრით ჯობნიან სხვა ტელეკომპანიის ჟურნალისტებს ან მათ ხელმძღვანელობას: მეტი ინტელექტუალობით? სილამაზე-სიგანე-სიმაღლეში აჭარბებენ? ხმის ტემბრი აქვთ უკეთესი თუ დიქცია? სხვები ამათ ინფორმაციების თუ შოუების წაყვანის ტექნოლოგიაში ჩამორჩებიან, თუ რა?

მოსე მწერალი ვერაფრით დაიჯერებს, რომ **კიკალიშვილი**, უდუმაშვილი თუ **გაბუნია მიშველაძეზე, სიჭინავაზე** ან **მძინარაშვილზე** უფრო დახვეწილ-დახელოვნებული ტელეწამყვანი იყოს, ან „იმედის“ **ჯავჯანიძეზე** უფრო საინტერესო „შოუებს“ ვინმე დგამდეს. ერთი რამით მართლაც ერთი თავით მაღლა იდგნენ და დგანან სხვებზე **„რუსთავი-2“-ელები**. რით? რით და დაფინანსებით. კოლეგიალობა ცალმხრივი, როგორც სიყვარული და მეგობრობა, აბა, ვის გაუგონია? **„იმედი“** რომ დაარბიეს, **„სამშობლოდან“** ჟურნალისტები კინწისკვრით რომ გამოაძევეს, აბა, სოლიდარობის ნახევარი სიტყვაც თუ დაცდენია ვინმეს „რუსთავი-2“-დან? სულ, „მე-მეო!“ თხა იძახის. თუ ასეა, თხა თხაზე ნაკლები მართლაც მგელმა შეჭამოს!

მედიამედიატორი
მოსე მწერალი

კვალი ნათელი



ვინარ (იონა) ჯღამაძის გახსენება

ძმაო, ვინარ! ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით, ერთი ოჯახის წევრები ვიყავით. დედაშენი ჟული, იგივე ჩვენი დედა იყო, რადგან, როგორც იტყვიან, დეიდას დედის სუნი ასდის.

მოხუცი დედა, შენი და-ძმა: ნესტანი და მირდია, შვილები: ცირა და ცოტნე, ასევე, მთელი შენი ნათესაობა, მეზობლები და მეგობრები ხშირად გიგონებენ და არ ივიწყებენ შენს საზოგადოებრივ საქმიანობებსა თუ მათთან გატარებულ ლამაზ წლებს, რომელიც ასევე ლამაზ მოგონებად დარჩებათ შენი და ჩვენი სამშობლოს შენი საყვარელი კუთხის შენებრ მოსიყვარულეებს. ისინი ეკლესიაში სანთლებს ლოლუებივით ალღობენ შენზე ლოცვაში...

ორმოცი დღე გადის შენი ამქვეყნიური განრიდებიდან, ორმოცი დღე არის, რის შემდეგაც შენი ნათელი და წმინდა სული სამარადისოდ დაივანებს სამოთხეში, ღვთიურ არსებებს შორის.

გვენატრები, ძმაო ვინარ, გვენატრები!

შენი დეიდაშვილები: **მამელი, ჯემალ** და **გოგი ჯღარკავები** შენს ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 14 (4518)
11 ნოემბერი, 2015 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

E-mail: sakhalkho.ganatleba@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(0 32) 2 98 48 07; (0 32) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009